



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/49

მ. თბილისი

26 ნოემბერი 2021

სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 ნოემბრის №01-05-04/165 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 26 ნოემბრის №01-06-02/12 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 ნოემბრის №01-05-04/165 დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილებები და სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასური განისაზღვროს შემდეგნაირად:
 - 1.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების, ასევე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირების (გარდა ამ დადგენილების მე-2 პუნქტში მითითებული პირებისა) ერთი წლის (60 ECTS კრედიტი) სწავლის საფასური განისაზღვროს 2250 (ორი ათას ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

1.2. „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 52¹ მუხლის მე-7 პუნქტის და „უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224 ბრძანების საფუძველზე, უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირებისათვის სწავლის საფასური განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

სწავლების ენა	საბაკალავრო პროგრამა	სამაგისტრო პროგრამა
ქართული	4500 ლარი	4500 ლარი
რუსული	5500 ლარი	5500 ლარი
ინგლისური	12500 ლარი	12500 ლარი

1.3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასური განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირისთვის, უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის:

ა.ა) ქართულენოვან პროგრამაზე - 5000 ლარი;

ა.ბ) რუსულენოვან პროგრამაზე - 8000 ლარი;


ა.გ) ინგლისურენოვან პროგრამაზე - 12500 ლარი;

1.4. სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასურიდან ყოველწლიური სწავლის საფასურის 15% შესაძლებელია გადახდილ იქნეს აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით, რეკრუტირების აგენტისთვის/სააგენტოსთვის.“

2. დადგენილება ძალაშია 2021/2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ჩარიცხული, აღდგენილი ან მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ვემალ გახოკიძე